მეორე კლასი

ჯამური ქულა: 100
საკითხების რაოდენობა: 40

ტესტი შედგება **5 ძირითადი სავარჯიშოსაგან**. თითოეული მათგანი ამოწმებს მოსწავლის ინგლისური ენის სხვადასხვა უნარს: სურათის აღწერის გააზრებას, სიტყვების თარგმნას, მართლწერას, სიტყვებისა და სურათების დაკავშირებას და სიტყვების სწორად აგებას.

ყველა კითხვა არის **არჩევითპასუხებიანი** (A, B, C, D).

#1 სურათის აღწერა — Photo Description
ქულა: 15
საკითხი: 5 (თითო 3 ქულა)

პირველ სავარჯიშოში მოცემულია სურათი. მოსწავლე აკვირდება მას და პასუხობს კითხვებს სურათში ნაჩვენები დეტალების მიხედვით.

კითხვები ეხება:
• ადამიანებს
• მოქმედებებს
• ადგილს
• სურათში არსებულ საგნებს

მაგალითი: How many kids are in the photo? რამდენი ბავშვია სურათზე?

A. five
B. three
C. four
D. six

#2 სიტყვების თარგმნა — Translation
ქულა: 30
საკითხი: 10 (თითო 3 ქულა)

ამ სავარჯიშოში მოსწავლემ უნდა შეარჩიოს **ქართული სიტყვის სწორი ინგლისური თარგმანი.**

კითხვები მოიცავს ყოველდღიურ ლექსიკას, როგორიცაა:
• ოჯახი
• ბუნება
• ცხოველები
• საგნები
• რიცხვები და მოქმედებები

მაგალითი: ბურთი

A. ball
B. doll
C. teddy
D. car

#3 მართლწერა — Spelling
ქულა: 20
საკითხი: 10 (თითო 2 ქულა)

ამ ნაწილში მოსწავლემ უნდა იპოვოს **სწორად დაწერილი სიტყვა** მოცემულ ვარიანტებს შორის.
სავარჯიშო ამოწმებს ინგლისური სიტყვების სწორ მართლწერას.

მაგალითი: საშლელი

A. rubber
B. rabber
C. ruber
D. ruuber

#4 სურათისა და სიტყვის დაკავშირება — Photo–Word Matching

ქულა: 20
საკითხი: 10 (თითო 2 ქულა)

მოსწავლემ უნდა **დააკავშიროს სურათი შესაბამის სიტყვასთან.**
ეს სავარჯიშო ამოწმებს ვიზუალური ხატის დახმარებით სიტყვის ამოცნობას.

კითხვები ეხება:
• ადამიანებს
• ტრანსპორტს
• საკვებს
• ოთახებს და საგნებს

#5 სიტყვების ფორმირება — Word Building

ქულა: 15
საკითხი: 5 (თითო 3 ქულა)

ამ სავარჯიშოში მოცემულია **არასრული სიტყვა,** სადაც ერთი ასოა გამოტოვებული.
მოსწავლემ უნდა აირჩიოს სწორი ასო, რათა მიიღოს სრული ინგლისური სიტყვა.

მაგალითი: d _ g

A. o
B. e
C. y
D. h

სწორი პასუხია **A. o → dog**.

📚 **დამატებითი ინფორმაცია**

მოსამზადებელი კურსი შექმნილია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს:

• გაიმეოროს საბაზისო ინგლისური ლექსიკა.
• ივარჯიშოს სიტყვების სწორ მართლწერაში.
• განავითაროს სურათის მიხედვით ინფორმაციის ამოცნობის უნარი.
• გაიუმჯობესოს ინგლისური ენის ძირითადი უნარები.

დამატებითი მოსამზადებელი კურსი ხელმისაწვდომია მოსწავლეთა პროფილებში.